02/10/2024

MES 2 24 0001251660

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 21 სექტემბერს 14:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Sep 21, 2024 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/86397964390?pwd=83yjboUTlVWrugOZiQaGfTCUvWnYa9.1
Meeting ID: 863 9796 4390
Passcode: 186279
საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**
**ნინო ბაბალაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
**გიორგი გამყრელიძე -** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
**თეაგულუა** - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
**მარიკა ზაქარეიშვილი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);
**მარიამ ქუჩულორია** - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
**ნათია კვიციანი** - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
**მარიამნოზაძე** - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);

**სალომესანაია** - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
**ნათიაგვირჯიშვილი** - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი).

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**
**ნანი დალაქიშვილი -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
**ნონა საათაშვილი -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
**მაია აბდალაძე -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**დაწესებულების წარმომადგენელი:**

**შპს თავისუფალი ხედვის აკადემია**
რემა ღვამიჩავა - აკადემიის დირექტორი
ზვიად არძენაძე - აკადემიის ხელმძღვანელი
სოფიკო ბერიძე - აკადემიის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერი
ლიკა ბაბლუანი - სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი

**შპს სამედიცინო ცენტრი ციტო**
ნინო ბაკურაძე - შპს სამედიცინო ცენტრ „ციტოს“ კლინიკური მენეჯერი
ეკატერინე მესხიძე - სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

**პროფესიულიმომზადებისპროგრამებისადაპროფესიულიგადამზადებისპროგრამების დარგის ე ქსპერტები:**
ალექსანდრე კეკენაძე
თათია გივიშვილი
ქეთევან ღვანიძე
ბარბარე გონაშვილი
მანანა დოლაბერიძე
საბჭოს სხდომა დაიწყო 14:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს,

რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „ვებგვერდის შექმნა და მართვა“ /02066/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი“ /02067/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „შინმოვლის სპეციალისტი“ /02072/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ /02068/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვებთან მუშაობა“ /02071/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“ /02069/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, ჰიგიენა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში“ /02073/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

8. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „საბანკო სერვისების ადმინისტრირება“ /02070/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

9. შპს სამედიცინო ცენტრ ციტოს „სამედიცინო ლაბორატორიის ტექნიკოსი“ /02055/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა გაიმართა დღის წესრიგის მიხედვით

**1. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „ვებგვერდის შექმნა და მართვა“ /02066/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

**2. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი“ /02067/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 29 აგვისტოს №1027946 და №1027912 ბრძანებების საფუძველზე დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ და ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა 2024 წლის 11 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში, ქ. თბილისში.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში

**ქვესტანდარტი 1.6 პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით**

რეკომენდებულია თითოეული სწავლის შედეგის შესაბამისი კვირეული თემატიკა გადაიხედოს, შესაძლოა დაკორექტირდეს, ან ზოგიერთი კვირის შემთხვევაში მეტად დაკონკრეტდეს.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ „ვებგვერდის შექმნა და მართვა“ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 15 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 60, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, თრიალეთის ქუჩა № 50.

„ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი“ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 11 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 60, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, თრიალეთის ქუჩა № 50.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე ქვესტანდარტი.

მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამები უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დასაქმების/ მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი კვლევებით. პროგრამების სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამების მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროფესიული მომზადების პროგრამაზე - „ვებგვერდის შექმნა და მართვა“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია - სრული ზოგადი განათლება; ხოლო პროგრამაზე "ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი" დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია - საბაზო განათლება. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება.

პროგრამების ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროფესიული მომზადების პროგრამის - „ვებგვერდის შექმნა და მართვა“ ხანგრძლივობაა 15 კვირა, პროგრამის საათების რაოდენობა შეადგენს 283 საათს.

პროფესიული მომზადების პროგრამის - "ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი" ხანგრძლივობაა 11 კვირა, პროგრამის საათების რაოდენობა შეადგენს 160 საათს. სწავლება მოიცავს მეცადინეობას დაწესებულების ორ B გარემოში, მაქსიმუმ 15 მსმენელი ჯგუფში (4 ჯგუფად, ორ ცვლაში).

სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები.

პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა, პროგრამა განხორციელდება აკადემიის მიერ შესაბამისად აღჭურვილ ორ B სასწავლო გარემოში. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

წარმოდგენილი პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი სასწავლო რესურსით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე ვიზუალური დათვალიერებით.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, 3.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, აკადემიის სტრატეგიაა პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე ორიენტირებული, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე და დამსაქმებლის საჭიროებებზე მორგებული სწავლების და მართვის სისტემის შექმნა.

3.2 და 3.4 ქვესტანდარტებთან მიმართებაში აკადემიამ წარმოადგინა შემუშავებული დოკუმენტები: ,,პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის დამტკიცების, განხორციელებისა და მსმენელთა ჩარიცხვის წესი და პირობები“ და ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. რაც შეეხება 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტები გამოცდილების არარსებობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და მიმართა დარგის ექსპერტს განემარტა, რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ არ იცვლება არც სწავლის შედეგი და არც კვირების გადაწყობა არ მოიაზრება, რაზეც საბჭოს თავმჯდომარე ჩაეკითხა დარგის ექსპერტს, თუ რა იგულისხმებოდა რეკომენდაციაში, დაკონკრეტებას ითხოვდა დარგის ექსპერტი, თუ საკითხები იყო ჩასამატებელი, რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ თემატიკა უფრო დასაკონკრეტებელი იყო, მაგალითად დაკონკრეტება სჭირდება პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით არსებულ თემატიკას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სრულიად იზიარებენ დარგის ექსპერტის რეკომენდაციას და საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ აისახება პროგრამაში.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ მოემზადებინათ ცვლილებები და საბოლოო ვერსია წერილთან ერთად წარმოედგინათ ცენტრში შემდეგი მსვლელობისთვის.
საბჭოს თავმჯდომარე ასევე შეეხო სახანძრო უსაფრთხოების დასკვნას, რადგან სახანძრო უსაფრთხოების კუთხით, კომპეტენტური და პასუხისმგებელი ორგანო არის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და დაწესებულებას, წარმოდგენილი მიწერილობის თანახმად, აქვს ვალდებულება განსაზღვრულ ვადებში შესრულდეს ის აქტივობები, რაც განუსაზღვრა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა, №131 დადგენილების შესაბამისად ეს არ ჩაითვლება ხარვეზად.

ამასთან დაკავშირებით ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ ამ ეტაპისთვის ეს ხარვეზად არ ითვლება, რადგან არის მიწერილობა და ვადა აქვს ამ მიწერილობას, რომლის მიხედვითაც ღონისძიებების შესრულების ვადა 2025 წლის ივნისამდეა განსაზღვრული, მან მიმართა დაწესებულებას, რომ ვადის დასრულებამდე ყველა ის აქტივობა განახორციელონ, რითაც სრულ შესაბამისობაში მოიყვანენ სახანძრო უსაფრთხოებას და ამ ღონისძიებების დასრულების შემდეგ, სახანძრო უსაფრთხოების განახლებული დასკვნის მიღების შემდეგ, ცნობის სახით წარმოადგინონ ცენტრში.
დაწესებულის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2025 წლამდეც ექნებათ დადებითი დასკვნა და წარმოადგენენ ცენტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „ვებგვერდის შექმნა და მართვა“ /02066/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 8**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს - თავისუფალი ხედვის აკადემიას (ს/კ: 406460235) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ვებგვერდის შექმნა და მართვა /02066/ **(დანართი 1).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი“ /02067/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 8**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს - თავისუფალი ხედვის აკადემიას (ს/კ: 406460235) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი /02067/ **(დანართი 2).**

**3. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „შინმოვლის სპეციალისტი“ /02072/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

**4. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ /02068/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.
საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თათია გივიშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 29 აგვისტოს №1027943 და №1027916 ბრძანების საფუძველზე, დარგის ექსპერტმა ათია გივიშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა 2024 წლის 12 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში, ქ. თბილისში.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
პროგრამების პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი „შინმოვლის სპეციალისტის“ პროგრამის სახეა - მომზადება, პროფესიული მომზადების პროგრამისთვის მინიჭებული ჰქონდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონე, თუმცა ცენტრის გადაწყვეტილებით აღნიშნულ პროგრამაზე მოხდა ეროვნული კვალიფიკაციების

ჩარჩოს დონის ცვლილება, ვინაიდან პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონეს, პროგრამის ხანგრძლივობა - 13 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 60.
,,პირველადი გადაუდებელი დახმარების" პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 6 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 60. აღნიშნული პროგრამები განხორციელდბა ქ. თბილისში, თრიალეთის ქუჩა № 50.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე ქვესტანდარტი.
მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამები უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დასაქმების/ მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი კვლევებით. პროგრამების სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამების მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამების სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით.
„შინმოვლის სპეციალისტზე“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია - ასაკი -18 წელი; სრული ზოგადი განათლება. „პირველადი გადაუდებელი დახმარების“ პროგრამაზე - დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია - სრული ზოგადი განათლება. ორივე პროგრამის შემთხვევაში აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება.
პროგრამების ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროფესიული მომზადების პროგრამის - „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ ხანგრძლივობაა 6 კვირა, პროგრამის საათების რაოდენობა შეადგენს 46 საათს. აკადემიას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრთან.
პროფესიული მომზადების პროგრამის - „შინმოვლის სპეციალისტის“ ხანგრძლივობაა 13 კვირა, პროგრამის საათების რაოდენობა შეადგენს 338 საათს. პროგრამის სწავლება მოიცავს მეცადინეობას: აკადემიის 2-A - აუდიტორიაში და 1-AC - სიმულაციურ გარემოში, მაქსიმუმ 15 მსმენელი ჯგუფში.
აკადემიას ხელშეკრულება აქვს დადებული საქველმოქმედო ფონდ საქართველოს კარიტასთან.
სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები.
პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა, ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის, ამისთვის შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულებებია წარმოდგენილი შპს აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტთან და საქველმოქმედო ფონდ საქართველოს კარიტასთან, რომელთა მოქმედების ვადა არის - 6 წელი და განსაზღვრულია - 60 სტუდენტზე.
წარმოდგენილი პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი სასწავლო რესურსით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე ვიზუალური დათვალიერებით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, ვინაიდან ეს პროგრამებიც წარმოდგენილია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ, შეფასდა ანალოგიურად.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

ნანი დალაქიშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს, დაეკონკრეტებინა წარმოდგენილი „შინმოვლის სპეციალისტის“ პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე, რაზეც დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამა არის მეხუთე დონე, როგორც აღინიშნა პროფესიული მომზადების პროგრამისთვის მინიჭებული ჰქონდათ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონე, თუმცა ცენტრის გადაწყვეტილებით აღნიშნულ პროგრამაზე ჩარჩოს დონის ცვლილება განხორციელდა, ვინაიდან პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონეს.
ნანი დალაქიშვილმა მიმართა ცენტრის თანამშრომელს, თუ დაადარა აღნიშნული პროგრამა „შინმოვლის სპეციალისტის“ პროფესიული მომზადების პროგრამისათვის განსაზღვრულ მინიმალურ სარეკომენდაციო მოთხოვნებს, რაზეც ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა განმარტა, რომ კონსულტაცია გაიარეს კოლეგებთან და შეჯერდნენ, რომ სწავლის შედეგების თემატიკა შეესაბამება მეხუთე დონეს, და არა მეოთხეს. ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, თუ ექსპერტი ეთანხმება, რომ ეს უნდა იყოს მეხუთე დონე, მაშინ ალბათ საბჭოსთვის ეს დასაბუთება გადაწყვეტილების მიღებისას იქნება გათვალისწინებული.

საბჭოს წევრი მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, თუ როგორ ფიქრობს დაწესებულება მიღებული მსმენელების ორგანიზებას, ერთდროულად მოხდება ეს, თუ ამ 60 მსმენელს პრაქტიკაზე გადაანაწილებენ სხვადასხვა ობიექტებზე, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსმენელები დაიყოფა ოთხ ჯგუფად 2 ცვლაში, მარიკა ზაქარეიშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ 15-15 მსმენელი თუ არის და ოთხი ჯგუფი პრაქტიკის ობიექტზე, მათ სუპერვიზიაზე პასუხისმგებლობას იღებს პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი, თუ დაწესებულებაზეც იღებს პასუხისმგებლობას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, დაწესებულებას ეხება პრაქტიკის ობიექტების მონიტორინგი და პროცესის დაგეგმვა, რაც მათთან შეთანხმებით მოხდება, რესურსების უზრუნველყოფა, ინსტრუქტორის ჩართულობა არის პრაქტიკის ობიექტის ვალდებულება და ეს ხელშეკრულებითაც აქვს დაწესებულებას გაწერილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „შინმოვლის სპეციალისტი“ /02072/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 9**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს - თავისუფალი ხედვის აკადემიას (ს/კ: 406460235) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - შინმოვლის სპეციალისტი /02072/ **(დანართი 3).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ /02068/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 9**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს - თავისუფალი ხედვის აკადემიას (ს/კ: 406460235) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - პირველადი გადაუდებელი დახმარება /02068/ **(დანართი 4).**

**5. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვებთან მუშაობა“ /02071/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

**6. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“ /02069/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

**7. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, ჰიგიენა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში“ /02073/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს,

იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.
საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ქეთევან ღვანიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 29 აგვისტოს №1019681, №1027929 და №1027936 ბრძანებების საფუძველზე, დარგის ექსპერტმა ქეთევან ღვანიძემ და ცენტრის წარმომადგენელმა, მაია აბდალაძემ 2024 წლის 12 სექტემბერს განახორციელა ვიზიტი შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში, ქ.თბილისში.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა“ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 60.
,,სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 60.
,,ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, ჰიგიენა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში“ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 8 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 60. სამივე პროგრამა განხორციელდება მისამართზე - ქ. თბილისი, თრიალეთის ქუჩა № 50.
წარმოდგენილი პროგრამები უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი კვლევებით. პროგრამების სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამების მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამების სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით.
პროფესიული გადამზადების პროგრამების დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება - მინიმუმ 6 თვე; სრული ზოგადი განათლება, ხოლო აპლიკანტთა შერჩევის ფორმად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს გასაუბრება სამივე პროგრამისათვის.
პროფესიული გადამზადების პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებს, შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარითა და კომპეტენციით.
წარმოდგენილი პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი სასწავლო რესურსით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე ვიზუალური დათვალიერებით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, ვინაიდან ეს პროგრამებიც წარმოდგენილია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ, შეფასდა ანალოგიურად.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თავიდანვე ამდენი ჯგუფების მიღებას აპირებდნენ, თუ არა, რადგან დაწესებულებას ძალიან დიდი კვოტები ჰქონდა წარმოდგენილი პროგრამებზე,

რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ მათ რესურსების ანალიზისა და კვლევის საფუძველზე მიიღეს ეს გადაწყვეტილება და თავისუფლად შეუძლიათ ამ რაოდენობის ჯგუფების მიღება.
საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა დასვა კითხვა ერთ-ერთ პროგრამასთან დაკავშირებით, მისი აზრით პროგრამის სახელწოდება „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა“ თითქოს დაუსრულებელია, ხოლო პროგრამის სწავლის შედეგები ურთიერთგადამფარავია, მაგალითად აღნიშნულია, რომ ინკლუზიური განათლების პრინციპებს აწესებს, რაც საბჭოს წევრის თქმით არასწორი ფორმულირებაა, რადგან ინკლუზიური განათლების პრინციპები უკვე დაწესებულია, მან დასძინა, რომ ზოგადად ვერ გაიგო პირველ რიგში ვინ არის ეს პირი, ვინც მზადდება ამ პროგრამის შედეგად, ასევე მისთვის ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმება სამუშაო გამოცდილებაში, ესეც არ არის დაკონკრეტებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს პროგრამა განკუთვნილია ბაღში მომუშავე იმ კატეგორიისთვის, ვისაც აქვს სააღმზრდელო ჯგუფებთან შეხება, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ იქნებოდა უმჯობესი, რომ ეს დაშვების წინაპირობაში დაეკონკრეტებინათ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ თუ იქნება მათგან ასეთი სახის რეკომენდაცია, ისინი მზად არიან გაითვალისწინონ.
დარგის ექსპერტმა ქეთევან ღვანიძემ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თითოეულ აღმზრდელს უნდა შეეძლოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა და სწორედ გადამზადება ხდება ამ პროგრამის საშუალებით, ანუ აღმზრდელს რომელსაც აქვს 6 თვიანი, ან ერთ წლიანი გამოცდილება, შეიძლება გადამზადდეს, რომ ნებისმიერ აღმზრდელსა და აღმზრდელის თანაშემწემ შეძლოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა.
ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ იზიარებს დარგის ექსპერტის მოსაზრებას, რომ ეს არ არის სპეც. მასწავლებელი და ფიქრობს, რომ ეს იქნება დამატებითი პროგრამა იმ აღმზრდელებისთვის, ან აღმზრდელის თანაშემწისთვის, რომელთა ჯგუფებშიც არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები, რადგან თვითონ აღმზრდელებს უნდა ჰქონდეთ მეტი ცოდნა და უნარები, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან სწორად წარმართონ ურთიერთობა. საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ მისთვის მაინც ძალიან ხელოვნურია ეს სწავლის შედეგები და რა შინაარსიც დევს ეს ნათლად არ ჩანს სწავლის შედეგებში და სათაურიც ძალიან ზოგადია. რაზეც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს არის ერთ-ერთი მოდული გრძელვადიან საკვალიფიკაციო პროგრამაში აღმზრდელი.
მარიკა ზაქარეიშვილმა, განაცხადა, რომ კარგი იქნება, თუ დაკონკრეტდებოდა პროგრამაში, ან წინაპირობაში, თუ ვისთვის არის განკუთვნილი ეს პროგრამა, რასაც დაეთანხმა საბჭოს წევრი ნათია გვირჯიშვილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, მათ მოინიშნეს ეს საკითხები და დაშვების წინაპირობაში დააკონკრეტებენ, რომ პროგრამა განკუთვნილია აღმზრდელის და აღმზრდელის ასისტენტისთვის. ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მათი რეკომენდაციაც სწორედ ეს იქნება, რომ ჩაამატონ პროგრამაში, თუ დაშვების წინაპირობაში და ეს გასწორებული ვერსია უახლოეს პერიოდში გაუგზავნონ საბჭოს აპარატს, რომ შემდეგ ტექნიკურადაც შეძლონ ამის ასახვა ემისის ბაზაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვებთან მუშაობა“ /02071/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 9**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს - თავისუფალი ხედვის აკადემიას (ს/კ: 406460235) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა /02071/ **(დანართი 5).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“ /02069/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 9**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს - თავისუფალი ხედვის აკადემიას (ს/კ: 406460235) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში /02069/ **(დანართი 6).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაშპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, ჰიგიენა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში“ /02073/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 9**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს - თავისუფალი ხედვის აკადემიას (ს/კ: 406460235) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, ჰიგიენა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში /02073/ **(დანართი 7).**

**8. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „საბანკო სერვისების ადმინისტრირება“ /02070/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ბარბარე გონაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული 2024 წლის 29 აგვისტოს №1027931 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტმა ბარბარე გონაშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა, მაია აბდალაძემ 2024 წლის 12 სექტემბერს განახორციელა ვიზიტი შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში, ქ.თბილისში.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია 1.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

**ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს**

რეკომენდებულია აღნიშნული პროგრამის სახელწოდება „საბანკო სერვისების ადმინისტრირება“ დარედაქტირდეს, შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შინაარსთან და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით - „საბანკო ოპერაციების განხორციელება“.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 11 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 60, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, თრიალეთის ქუჩა № 50.

შემდეგ დარგის ექსპერტმა მიმოიხილა პირველი და მეორე სტანდარტის ქვესტანდარტები.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილებას დარგში არსებული გარემოებები და ქვეყნის სტრატეგიული მიზნები განაპირობებს.
დაწესებულებამ წარმოადგინა ჩატარებული კვლევის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, გამოიკითხა რამდენიმე დაწესებულება (პოტენციური დამსაქმებლები) და დადგინდა ის საჭიროებები და უნარები, რაც ესაჭიროებათ დამსაქმებლებს დასაქმების მეტი შესაძლებლობისთვის. კონკურენტუნარიანი და მოთხოვნადია ისეთი კადრები, რომლებსაც გააჩნიათ ის ცოდნა და უნარები, რის სწავლასაც აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს (ნაღდი ანგარიშსწორების ოპერაციების ცოდნა, სხვადასხვა ემისიის ეროვნული და უცხოური ვალუტის ნამდვილობის დადგენა, სერვის +, კონფლიქტების მართვა).
ამას ემატება საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს და უნარების სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევა შრომის ბაზრის ანალიზის შესახებ, რის შედეგადაც დაწესებულებამ გადაწყვიტა პროფესიული მომზადების პროგრამის შემუშავება და განხორციელება.
აკადემიაში ვიზიტის დროს გაიცა რეკომენდაცია პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით, კერძოდ წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდებაა „საბანკო სერვისების ადმინისტრირება“, დარგის ექსპერტის მიერ პროგრამის სახელწოდება დარედაქტირდა, პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით - საბანკო ოპერაციების განხორციელება“, რათა შესაბამისობაში ყოფილიყო სახელწოდება პროგრამის შინაარსთან, ვინაიდან პროგრამა მოიცავს სალარო ოპერაციების განხორციელებას, კლიენტთა მომსახურებას და კონფლიქტების მართვას, რეკომენდირებულია ისეთი სახელწოდება ჰქონდეს პროგრამას, რომელიც რეალურად გამოხატავს პროგრამის შინაარს.
პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, მინიმალური ასაკი - 17 წელი. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება
სასწავლო პროცესი განხორციელდება დაწესებულების ბაზაზე B სასწავლო გარემოში და გაგრძელდება 11 კვირა. მსმენელთა რაოდენობა 60. სწავლების დროს გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი თემატური ვიზუალური მასალა, სხვადასხვა სწავლების მეთოდი. ასევე აკადემია პროგრამის განხორციელების ფარგლებში უზრუნველყოფს ტერაბანკში გაცნობითი სახის შეხვედრას მსმენელებისთვის.
წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი კვალიფიციური პირი. პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გააჩნია 2 B გარემო. ერთ აუდიტორიაში განთავსებულია 40 მსმენელისთვის სამუშაო ადგილი.
დაწესებულებას გააჩნია ყველა ის მატერიალური რესურსი, რაც საჭიროა პროგრამის განხორციელებისთვის. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ალტას პროგრამა და დადასტურდა, რომ აღნიშნული სატესტო პროგრამა ჩატვირთული და გამართულია თითოეულ კომპიუტერში, ასევე ვიზიტისას წარმოდგენილ იქნა „ალტა სოფთვეართან“ გაფორმებული 3 წლიანი მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამაში მითითებული სასწავლო და ინტერნეტ რესურსი. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელთათვის.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, ვინაიდან ეს პროგრამაც წარმოდგენილია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ, შეფასდა ანალოგიურად.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა აკადემიის წარმომადგენლებს, ეთანხმებოდნენ თუ არა პროგრამის სახელწოდების ცვლილებას, რაზეც აკადემიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეთანხმებიან აღნიშნულ ცვლილებას.

ნანი დალაქიშვილმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას ამ სახელწოდებით უნდა უყარონ კენჭი და გადაწყვეტილებაში აისახოს ამ ფორმით. ვინაიდან ელ. სისტემაში აკადემია ვერ ასახავს აღნიშნულ ცვლილებას, წარმოადგენენ ცენტრში წერილს ცვლილებებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის „საბანკო ოპერაციების განხორციელება“ /02070/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 9**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს - თავისუფალი ხედვის აკადემიას (ს/კ: 406460235) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - საბანკო ოპერაციების განხორციელება /02070/ **(დანართი 8).**

**9. შპს სამედიცინო ცენტრ ციტოს „სამედიცინო ლაბორატორიის ტექნიკოსი“ /02055/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ

მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მანანა დოლაბერიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 23 აგვისტოს №1010534 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა მანანა დოლაბერიძემ და ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა 2024 წლის 13 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს სამედიცინო ცენტრ ციტოში, მისამართზე: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. 143.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ,,სამედიცინო ლაბორატორიის ტექნიკოსი“ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 18 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 60, განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა, №143.

პროგრამებთან დაკავშირებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა, რეკომენდაცია არ გაცემულა.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სტანდარტები.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ რეგულაციები კლინიკურ ლაბორატორიებთან დაკავშირებით (ISO 15189 აკრედიტაციის ვალდებულება), რომელიც 2025 წლიდან ამოქმედდება, კვალიფიციურ, განათლებულ სამედიცინო ლაბორატორიის პერსონალს სექტორში ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად პროფესიად გახდის. 2023 წლის აგვისტოში კვლევა ჩატარდა USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამედიცინო ლაბორატორიის სექტორში არსებული უნარების შეუსაბამობის აღმოფხვრა საპილოტე მოდელის მეშვეობით“ ფარგლებში, შპს სამედიცინო ცენტრი ციტოს მიერ ევროპულ ბიზნეს ასოციაციასთან (EBA) პარტნიორობით. პროექტის მიზანი იყო სამედიცინო ლაბორატორიის ტექნიკოსის გადამზადების პროგრამის შემუშავება და სამედიცინო ლაბორატორიის სექტორში არსებული უნარების შეუსაბამობის აღმოფხვრის ხელშეწყობა, რაც წარმატებით განხორციელდა. ლაბორატორიის ტექნიკოსის როლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჯანდაცვის სისტემაში. აღნიშნული მიმართულებით კვალიფიციური კადრების სიმცირიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი დღითიდღე გაიზრდება, შესაბამისად, აღნიშნული პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელება სასიცოცხლო მნიშვნელობის არის და პირდაპირ უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ასევე, არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამის სახელწოდება გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგებისა და თემატიკის შინაარსიდან. მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში. დაშვების წინაპირობებია - განათლება - ბაკალავრის ხარისხი პროგრამის მიხედვით შესაბამისი დარგის/სფეროს კვალიფიკაციით, ასევე, კანდიდატს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება ჯანდაცვის, ლაბორატორიის, ქიმიკოსის, ბიოლოგიის და მასთან დაკავშირებული მეცნიერებების მიმართულებით; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

პროგრამების ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროგრამის ხანგრძლივობა 18 კვირაა, პროგრამის საათების სრული რაოდენობა ჯამში შეადგენს - 163 საათს.
პროგრამის ფარგლებში მსმენელები შეისწავლის ლაბორატორიული ტესტირების თანამედროვე ტექნოლოგიებს, მეთოდებს, პრინციპებსა და მარეგულირებელ დოკუმენტაციას, შეძლებენ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ლაბორატორიული ტესტირების ორგანიზებას, ჩატარებას, ტესტირების შედეგების ანალიზსა და დოკუმენტირებას.
სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ხოლო სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები.
პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა, ცენტრი გამოირჩევა საერთაშორისო სტანდარტების მქონე მაღალი დონის ინფრასტრუქტურით – სასწავლო აუდიტორიებით, სიმულაციური პრაქტიკული სივრცეებითა და სხვა დამატებითი ინფრასტრუქტურით.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
წარმოდგენილი პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის დამადასტურებელი დოკუმენტაციით (ოთხი განმახორციელებელი პირი), დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს A სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია 15 მსმენელისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოსთვის საჭირო ინვენტარი. და C გარემო, სადაც წარმოდგენილია პრაქტიკული კომპონენტის შესაბამისი ყველა საჭირო მატერიალური რესურსი მოქმედი ლაბორატორიების ბაზაზე, წარმოდგენილი სასწავლო რესურსით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე ვიზუალური დათვალიერებით.
  რაც შეეხება მესამე სტანდარტს, 3.1 ქვესტანდარტთან მიმართებაში აღინიშნა, რომ ციტოს ტრენინგ ცენტრი არის შპს სამედიცინო ცენტრ ციტოს სტრუქტურული ერთეული, რომლის მთავარი ამოცანაა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, სამედიცინო ლაბორატორიის სექტორში მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება-გადამზადება. ცენტრი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან. ცენტრს შემუშავებული აქვს ხარისხის მექანიზმების დოკუმენტი, რომლის მიზანია, სამედიცინო ცენტრის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება და ხარისხის კულტურის გაძლიერება.
3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შემოწმებას.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

  საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკმაოდ ამომწურავი და დეტალური პრეზენტაცია იყო წარმოდგენილი და არ ჰქონდა კითხვები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სამედიცინო ცენტრ ციტოს „სამედიცინო ლაბორატორიის ტექნიკოსი“ /02055/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 9**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს სამედიცინო ცენტრ ციტოს (ს/კ: 204888461) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - სამედიცინო ლაბორატორიის ტექნიკოსი /02055/ **(დანართი 9).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 15:49 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

ნ. ბაბალ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

მ. ზ

**დანართი 1**

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02066 | ვებგვერდის შექმნა და მართვა | პროფესიული მომზადება | მეოთხე | 15 | ქართული | 60 | ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №50 |

**დანართი 2**

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02067 | ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი | პროფესიული მომზადება | მესამე | 11 | ქართული | 60 | ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №50 |

**დანართი 3**

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02072 | შინმოვლის სპეციალისტი | პროფესიული მომზადება | მეხუთე | 13 | ქართული | 60 | ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №50 |

**დანართი 4**

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02068 | პირველადი გადაუდებელი დახმარება | პროფესიული მომზადება | მეხუთე | 6 | ქართული | 60 | ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №50 |

**დანართი 5**

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02071 | სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა | პროფესიული გადამზადება | მეხუთე | 10 | ქართული | 60 | ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №50 |

**დანართი 6**

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02069 | სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში | პროფესიული გადამზადება | მეხუთე | 10 | ქართული | 60 | ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №50 |

**დანართი 7**

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02073 | ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, ჰიგიენა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში | პროფესიული გადამზადება | მეხუთე | 8 | ქართული | 60 | ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №50 |

**დანართი 8**

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02070 | საბანკო ოპერაციების განხორციელება | პროფესიული მომზადება | მესამე | 11 | ქართული | 60 | ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №50 |

**დანართი 9**

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02055 | სამედიცინო ლაბორატორიის ტექნიკოსი | პროფესიული გადამზადება | მეხუთე | 18 | ქართული | 15 | ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. №143 |